ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31231646**
თარიღი: **13/06/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ - სოფელ ჯუნეწერში არსებული სკვერისთვის დავით ბოლქვაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ჩიბათის, გვიმბალაურისა და მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატის სამოტივაციო წერილს, მოსახლეობასთან კონსულტაციის ამსახველ დოკუმენტს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, ორთოფოტოს, ოჯახის თანხმობას, ბიოგრაფიასა და მოსახლეობის მომართვას ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დანართი - 18(თვრამეტი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2023 წლის ივნისი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ.ჯუნეწერში არსებული სკვერისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი დავით ბოლქვაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ მე-10 მუხლის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფ.ჯუნეწერში არსებულ სკვერს ეწოდოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი-დავით ბოლქვაძის სახელი, თანდართული რუკის შესაბამისად.

მუხლი 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, სამი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**

დავით ბოლქვაძის სახელობის სკვერი
01/2

ლაწჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს,

ამავე მუნიციპალიტეტის ჩიბათის, გვიმბალაურის

და მაჩხვარეთის ადმინისტრაციული

ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატის

გიორგი ჩახვაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ბესიკ,

სოფელ გვიმბალაურის ადგილობრივი მოსახლეობისა და ჩემი, როგორც მაჟორიტარი დეპუტატის მხარდაჭერით, ქ. ლაწჩხუთში, გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ჯუნეწერზე არსებულ სკვერს მიენიჭოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული დავით ბოლქვაძის სახელი, რომელსაც მინიჭებული აქვს ვაგტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენი და ამავდროულად ის იყო ეროვნული გმირი.

გთხოვთ, შეისწავლოთ აღნიშნული საკითხი და გაითვალისწინოთ.

28.03.2023 წელი

ჩიბათის, გვიმბალაურის და მაჩხვარეთის

ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი

დეპუტატი: გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს
სამანდატო საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო ბესიკ,
ბატონო გიორგი,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის,კერძოდ ჯუნეწრის მოსახლეობა მოგმართავთ თხოვნით, რომ ჯურეწრის სკვერს მიენიჭოს დავით ბოლქვაძის სახელი და მოგითხრობთ მის შესახებ ინფორმაციას.

დათო ბოლქვაძემ 1987 წლიდან მუშაობა დაიწყო სახელმწიფო ტელევიზიაში ჯერ ლიტერატურულ, შემდეგ კი - თეატრალურ რედაქციაში ასისტენტად.
90-იან წლებში სახელმწიფო ტელევიზიის მეორე არხის დაარსებისთანავე, დათო ამ არხზე ოპერატორად მიიწვიეს.
1993 წლიდან ის იყო საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა "ტაიმ-აუტის" უცვლელი რეჟისორი და ოპერატორი.
დაღუპვამდე რამდენიმე ხნით ადრე დათო დაინიშნა მეორე არხის საინფორმაციო რედაქციის მთავარ რეჟისორად. ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის დროს ამერიკულმა სააგენტო WTN-მა დათო სააგენტოს კავკასიის ბიუროს ოპერატორად.
ის მივლინებულ იქნა სამოქალაქო ომის გასაშუქებლად დასავლეთ საქართველოში, სადაც 1993 წლის 28 ოქტომბერს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დახვრიტეს.
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით (გარდაცვალების შემდგომ). ვაშინგტონში დაღუპული ჟურნალისტების მემორიალზე ერთ-ერთი მისი სახელია ამოტვიფრული. ასევე, თბილისში არსებობს ეროვნული გმირის დავით ბოლქვაძის სახელობის სკვერი, ბიუსტი და მემორიალი.
შეგახსენებთ რომ, წარმოშვებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯუნეწრიდან იყო დავით ბოლქვაშე, შესაბამისად მოსახლეობის სურვილია, სოფელ ჯუნეწერში არსებულ სკვერში დაიდგას დავითის სახელობის მემორიალური დაფა, და სკვერი გახდეს მისი სახელობის.

მოსახლეობის ხელმოწერები: (დანართი სახით თან ერთვის) T 555918985

1) [illegible] — [signature] 12600103670, 26001030610
2) [illegible] — [signature] 26001001798
3) [illegible] — [signature]
4) [illegible] — [signature] 26001053728
5) [illegible] — [signature] 26001027169
6) [illegible] — [signature] 01301107905
7) [illegible] — [signature] 26001019532
8) [illegible] — [signature] 26001008979
9) [illegible] — [signature] 26001008730
10) [illegible] — [signature] 26001000134
11) [illegible] — [signature] 26001012467
12) [illegible] — [signature] 61009013776
13)

13) [illegible] 26002543232 [illegible]

14) [illegible] 26001023044 \ [illegible]

15) [illegible] \ [illegible]

16) [illegible] \ [illegible] 61009025790

17) [illegible]

18) [illegible] – [illegible]

19) [illegible] – [illegible]

20) [illegible] – 26001017466 – [illegible]

21) [illegible] – [illegible]

22) [illegible] – [illegible]

23) [illegible] 61004057531

24) [illegible] – [illegible]

25) [illegible] – [illegible]

26) [illegible] [illegible]

27) [illegible] [illegible] 26001037997.

28) [illegible] 26001001146

29) [illegible]

30) [illegible]

31) [illegible] / [illegible] / 26001035776.

32) [illegible] / [illegible] /

33) [illegible] / [illegible] / 26001009019

34) [illegible] / [illegible] / 26001010226

35) [illegible] / [illegible] /

36) [illegible] / [illegible] / 26001014238.

37) [illegible] / [illegible] / 26001038802

38) [illegible] / [illegible] / 26001037776.

39) [illegible] / [illegible] /

40) [illegible] – [illegible].

41) [illegible] – [illegible] / 26001033798

42) [illegible] 48301027972

43) [illegible] / [illegible] / 26001038233

44) [illegible] 01701133486

45) [illegible] 26001029918

46) [illegible] 26001025192

47) [illegible] – [illegible] 26001004082

48) [illegible] – [illegible] 26001022419.

49) [illegible] – [illegible]

50) [illegible] – [illegible]

BATUMI
03.06.2022
MINISTRY OF JUSTICE
IDGE020IE28483926001036211<<<<
0104252F3206032GE0<<<<<<<<<<<8
PIRTSKHALAISHVILI<<ANA<<<<<<<<

GEO
ANA
PIRTSKHALAISHVILI
GEO
F
26001036211
25.04.2001
03.06.2032
20IE28483

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ბესიკ ტაბიძეს.

სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ხელაძეს

საქართველოს ეროვნული გმირის

დავით ბოლქვაძის ოჯახის წევრების

განცხადება

გაცნობებთ, რომ დათობოლქვაძის ოჯახის წევრები თანახმა ვართ, რომ ჯუნეწერში არსებულ სკვერს, სადაც ადრე დათოს სახელობის სკოლა იყო, დაერქვას დათო ბოლქვაძის სახელი!

პატივისცემით დათოს ოჯახის წევრები:

დედა - ლია ისიანი -

ტყუპისცალი - ნინო ბოლქვაძე

უფროსი და - თამარ ბოლქვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის

სხდომის ოქმი N 4

ქ. ლანჩხუთი

20.04.2023 წელი

12:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ხელაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ია მოქია, კარლო წილოსანი, ნინო მშვიდობაძე, დარეჯან ბურჭულაძე, მაკა მშვიდობაძე.

სხდომას არ ესწრებოდა: კახაბერ ასკურავა.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 მარტის N17 განკარგულებაში შეცდომის გასწორების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჯუნეწერში არსებული სკვერისთვის - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული - ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი, დავით ბოლქვაძის სახელის მინიჭების შესახებ“

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ - სოფელ გრიგოლეთში გამავალ (N1, N2) ცენტრალური ქუჩისთვის წმინდა გრიგოლის სახელის მინიჭების შესახებ“

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

4. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 მარტის N17 განკარგულებაში შეცდომის გასწორების შესახებ“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** და აღნიშნა, რომ უნდა გასწორდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 მარტის N17 განკარგულებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა და განკარგულების მიღების თარიღად ნაცვლად 2022 წლისა დაფიქსირდეს 2023 წელი.

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჯუნეწერში არსებული სკვერისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი

დავით ბოლქვაძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ**, რომელმაც აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განცხადებით მომართა გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ჯუნეწრის მოსახლეობამ, რომლებიც ითხოვენ, რომ მათთან არსებულ სკვერს მიენიჭოს - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი - დავით ბოლქვაძის სახელი, რომელმაც 1987 წლიდან მუშაობა დაიწყო სახელმწიფო ტელევიზიაში ჯერ ლიტერატურულ, შემდეგ კი - თეატრალურ რედაქციაში ასისტენტად. 90-იან წლებში, სახელმწიფო ტელევიზიის მეორე არხის დაარსებისთანავე, ამ არხზე ოპერატორად მიიწვიეს. გიორგი ხელაძემ აგრეთვე აღნიშნა, რომ 1993 წლიდან ის იყო საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამის "ტაიმ-აუტი" უცვლელი რეჟისორი და ოპერატორი. დაღუპვამდე რამდენიმე ხნით ადრე დაინიშნა მეორე არხის საინფორმაციო რედაქციის მთავარ რეჟისორად. ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის დროს ამერიკულმა სააგენტო WTN-მა იგი სააგენტოს კავკასიის ბიუროს ოპერატორად მიიწვია. ის მივლინებულ იქნა სამოქალაქო ომის გასაშუქებლად დასავლეთ საქართველოში, სადაც 1993 წლის 28 ოქტომბერს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დახვრიტეს 24 წლის ასაკში. გარდაცვალების შემდეგ, 1994 წელს ის ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

ნინო მშვიდობაძემ აღნიშნა, რომ დავით ბოლქვაძე იყო პირველი ქართველი ჟურნალისტი, რომელიც დაიღუპა პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს და დასძინა, რომ ის იყო ბრწყინვალე პიროვნება და ძალიან კარგი ჟურნალისტი არაჩვეულებრივი ოჯახიდან. დედა საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხზე მუშაობდა, სადაც ახლა მისი და თამარ ბოლქვაძე მუშაობს. **ნინო მშვიდობაძემ** ასევე აღნიშნა, რომ დავით ბოლქვაძეს 22 ვარდის ვალი წაჰყვა იმ ქვეყნად, რომელიც დაბადების დღეზე აჩუქა თავის შეყვარებულს და ვალის უკან დაბრუნება აღარ დასცალდა.

დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ მისასალმებელია ასეთი ადამიანების სახელის უკვდავყოფა.

აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტას კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ - სოფელ გრიგოლეთში გამავალ (N1, N2) ცენტრალური ქუჩისთვის წმინდა გრიგოლის სახელის მინიჭების შესახებ“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** და აღნიშნა, რომ გრიგოლეთი წარმოადგენს საკურორტო ზონას. ზაფხულის თვეში მრავლადაა ტურისტები, და მისამართების არქონის გამო უჭირთ კონკრეტული სასტუმროს ან ადგილმდებარეობის დაზუსტება, ასევე უჭირთ სასწრაფო და სამაშველო გადაუდებელ სამსახურებს შემთხვევის ადგილზე მისვლა, ადამიანები კი ვერ სარგებლობენ ელექტრონული სისტემის მეშვეობით იპოვონ ადგილმდებარეობის ზუსტი მისამართი. სწორედ ამ პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, რათა გაუადვილდეთ მუშაობა სამსახურებს, მოსახლეობას და უცხოელ ტურისტებს, რამდენმე თვეა მოსახლეობასთან

აქტიურად თანამშრომლობით და მათი ინიციატივით მიმდინარეობს მუშაობა გრიგოლეთის მთავარი ქუჩის დამისამართების საკითხზე. **გიორგი ხელაძემ** აგრეთვე აღნიშნა, რომ მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნით შეირჩა წმინდა გრიგოლის სახელწოდება, რადგან გრიგოლეთში მდებარეობს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ეკლესია და მოსახლეობა ამ ტაძრის მრევლია. იმისათვის, რომ გრიგოლეთი მეტად განვითარდეს, ზაფხულში იყოს უფრო მიმზიდველი და პერსპექტიული, მხარს უჭერს მოსახლეობის ინიციატივას და შემოდის წინადადებით, რათა შემჭიდროებულ ვადებში, განხილულ იქნას გრიგოლეთის N1 და N2 ქუჩებისთვის (მთავარი ქუჩისთვის) წმინდა გრიგოლის სახელწოდების მინიჭების შესახებ მოსახლეობის ინიციატივა.

აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტას კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

სხვადასხვა საკითხები.

გიორგი ხელაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ მოხარული იქნება, თუ ყოფილ პარლამენტარს და ლეგენდარულ ფეხბურთელს - თემურ ჩხაიძეს მიენიჭება ლანჩხუთის საპატიო მოქალაქის წოდება, რომელიც უამრავ სასიკეთო საქმეს აკეთებს ყოველთვის.

ნინო მშვიდობაძემ განაცხადა, რომ მისი ინიციატივაა, გენერალ ჯონი ფირცხალაიშვილს მიენიჭოს ლანჩხუთის საპატიო მოქალაქის წოდება და ასევე მიენიჭოს ბრწყინვალე პიროვნებას, ბადრი ვადაჭკორიას, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმაც განაცხადა თანხმობა.

დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ აუცილებლად დასაფასებელია სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, რომლებმაც თავიანთი კვალი დატოვეს ამა თუ იმ დარგის განვითარებაში. მას გული წყდება, რომ ქალბატონ ამალია ხუხუას თავის დროზე არ მიანიჭეს აღნიშნული ტიტული და კარგი იქნება, თუ სიცოცხლეშივე დაფასდება ასეთი ადამიანები.

მაკა მშვიდობაძემ აღნიშნა, რომ ახალგაზრდისთვის ამ ტიტულის მინიჭება იქნება დიდი სტიმული და ასაკიანი ადამიანისთვის კი მადლიერების გამოხატვა, მის მიერ გაწეული ღვაწლისთვის.

კარლო წილოსანმა განაცხადა, რომ მისასალმებელია ღირსეული ადამიანების დაფასება. აღნიშნული პიროვნებები ნამდვილად იმსახურებს საპატიო მოქალაქის წოდებას.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე /გიორგი ხელაძე/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის N 4 სხდომის

დასკვნა

ლანჩხუთი

20. 04. 2023 წელი.

2023 წლის 20 აპრილს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 მარტის N17 განკარგულებაში შეცდომის გასწორების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჯუნეწერში არსებული სკვერისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი დავით ბოლქვაძის სახელის მინიჭების შესახებ“

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ - სოფელ გრიგოლეთში გამავალ (N1, N2) ცენტრალური ქუჩისთვის წმინდა გრიგოლის სახელის მინიჭების შესახებ“

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 მარტის N17 განკარგულებაში შეცდომის გასწორების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს 2023 წლის 25 აპრილის საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჯუნეწერში არსებული სკვერისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი დავით ბოლქვაძის სახელის მინიჭების შესახებ“

2. კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ - სოფელ გრიგოლეთში გამავალ (N1, N2) ცენტრალური ქუჩისთვის წმინდა გრიგოლის სახელის მინიჭების შესახებ“

2. კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“

კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

20.04.2023 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ხელაძე	11 50	
2	ია მოქია	12:00	
3	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდა	—
4	მაკა მშვიდობაძე	11:50 წთ.	
5	კარლო წილოსანი	11:58	
6	ნინო მშვიდობაძე	11:[illegible]	
7	დარეჯან ბურჭულაძე	11 55	

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ მოსახლეობასთან შეხვედრის

ოქმი N 1

შეხვედრის ადგილი: ლანჩხუთი - სოფელი გვიმბალაური, ჯუნეწრის მოსახლეობა

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 21. 04. 2023 წელი. 11:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ თავმჯდომარე - **გიორგი ხელაძე,** კომისიის წევრები: **დარეჯან ბურჭულაძე, კარლო წილოსანი, ია მოქია,** საკრებულოს წევრი, ჩიბათის, გვიმბალაურის და მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ჩახვაძე.** მერის წარმომადგენელი გვიმბალაურის ადმინიატრაციულ ერთეულში **დურმიშხან ხოფერია.** საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე **სპარტაკ კვაჭაძე.** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი: **ნინო ჭანტურიშვილი,** მოწვეული პირები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ“ საქართველოს მთავრობის N 239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად კონსულტაცია გამართა სოფელის მოსახლეობასთან, ჯუნეწრის სკვერისთვის დავით ბოლქვაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარე - **გიორგი ხელაძე** მიესალმა მოსახლეობას და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. მან აღნიშნა, რომ ამ დღეებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განცხადებით მომართა გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ჯუნეწრის მოსახლეობამ, რომელსაც ხელს აწერს 50 პიროვნებაზე მეტი. ისინი ითხოვენ, რომ მათთან არსებულ სკვერს მიენიჭოს - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი - დავით ბოლქვაძის სახელი, რომელიც 1987 წლიდან მუშაობდა სახელმწიფო ტელევიზიაში ჯერ ლიტერატურულ, შემდეგ კი თეატრალურ რედაქციაში ასისტენტად. 90-იან წლებში სახელმწიფო ტელევიზიის მეორე არხის დაარსებისთანავე მიიწვიეს ოპერატორად, ხოლო 1993 წლიდან ის იყო საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამის - „ტაიმ-აუტი“ რეჟისორი და ოპერატორი. დაღუპვამდე რამდენიმე ხნით ადრე ის დაინიშნა მეორე არხის საინფორმაციო რედაქციის მთავარ რეჟისორად.

1993 წელს დავით ბოლქვაძე დასავლეთ საქართველოში მივლინებული იქნა სამოქალაქო ომის გასაშუქებლად, სადაც, 28 ოქტომბერს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა. გარდაცვალების შემდეგ ის დააჯილდოვეს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის

ორდენით. **გიორგი ხელაძემ** აგრეთვე აღნიშნა, რომ ვაშინგტონში დაღუპული ჟურნალისტების მემორიალზე ერთ-ერთი დავით ბოლქვაძის სახელია ამოტვიფრული. ასევე, თბილისში არსებობს ეროვნული გმირის სახელობის სკვერი, ბიუსტი და მემორიალი. მან ასევე აღნიშნა, რომ წარმოშობით დავით ბოლქვაძე იყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯუნეწრიდან.

შეხვედრას ესწრებოდნენ სოფლის მაცხოვრებლები, რომელთაგან აზრი გამოთქვეს: **ლაშა ლორიამ, ცისანა ჩხაიძემ, გია შამანაძემ** და ერთხმად აღნიშნეს, რომ მხარს უჭერენ აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტას, რასაც შეხვედრის ყველა მონაწილე დაეთანხმა. მათ ასევე მხარი დაუჭირა მერის წარმომადგენელმა - დურმიშხან ხოფერიამ.

გიორგი ჩახვაძემ თავის მხრივ აღნიშნა, რომ მან წარმოადგინა სამოტივაციო წერილი და განსაკუთრებულად უჭერს მხარს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებას.

ია მოქიამ განაცხადა, რომ უერთდება კომისიის წევრების აზრს და აღნიშნა, რომ სკვერში შესაბამისი აბრაც უნდა განთავსდეს და აუცილებელია სკვერის კეთილმოწყობაზე ზრუნვაც, რაშიც მხარდაჭერა აღუთქვა მოსახლეობას.

შეხვედრაზე ასევე სიტყვით გამოვიდა კომისიის წევრი **დარეჯან ბურჭულაძე** და აღნიშნა, რომ მისასალმებელია ასეთი ადამიანების სახელის უკვდავყოფა.

გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ იმედი აქვს, დროულად დასრულდება პროცედურები, რათა სოფელ ჯუნეწერში არსებული სკვერი იყოს დავით ბოლქვაძის სახელობის.

პატივისცემით,

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე

დ ა ვ ი თ ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე

ბიოგრაფია

დავით ბოლქვაძე დაიბადა 1969 წლის 19 მარტს. 1987 წლიდან მუშაობა დაიწყო სახელმწიფო ტელევიზიაში ჯერ ლიტერატურულ, შემდეგ კი - თეატრალურ რედაქციაში ასისტენტად. 90-იან წლებში, სახელმწიფო ტელევიზიის მეორე არხის დაარსებისთანავე, ამ არხზე ოპერატორად მიიწვიეს. 1993 წლიდან ის იყო საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამის "ტაიმ-აუტი" უცვლელი რეჟისორი და ოპერატორი. დაღუპვამდე რამდენიმე ხნით ადრე დაინიშნა მეორე არხის საინფორმაციო რედაქციის მთავარ რეჟისორად. ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის დროს ამერიკულმა სააგენტო WTN-მა იგი სააგენტოს კავკასიის ბიუროს ოპერატორად მიიწვია. ის მივლინებულ იქნა სამოქალაქო ომის გასაშუქებლად დასავლეთ საქართველოში, სადაც 1993 წლის 28 ოქტომბერს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დახვრიტეს 24 წლის ასაკში. ვაშინგტონში დაღუპული ჟურნალისტების მემორიალზე ერთ-ერთი დავით ბოლქვაძის სახელია ამოტვიფრული. გარდაცვალების შემდეგ, 1994 წელს ის ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.